

ჩედაძე: სოლოლაკზე, სო- გივის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლ- ზე, № 8.

კანტორა ჩედაძისა: სერ- გივის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახ- ლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტო- რაში. ბარევე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИ- шинѣ. Въ редакцію газ. „Др о з б а“.

გაზეთის ფასი. თ. ი. წი- სა—8 მან., ნ. ხეიარ წილისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებრსა: დღიასი- ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ტროქონზე—8 კაპ., ჩვეულ-ბრივის ცი- ცეროთი—5 კაპ., პატარაით—4 კაპ.

ჩედაძისა უფლება აწეს გა- ასწროებს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დასაბე- დული სტატიები ავტორს არ დაუბრუნ- დება.

პირველი ენკენისთვიდან ამ მდგომარეა ფლის დამლვაამდინ

„დროება“

ღირს სამ მანეთად

პირველი ლეინობისთვიდან ფლის დამლვაამდინ—ორ მანეთად.

ხელის-მოწერა შეიძლება თუ- ლის ს. მ. რედაქციას, სერგივეის ქუჩა- ზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

შალაკის გარეშე პირთა ამ აღ- რესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ ТИ- шинѣ. Въ редакцію газеты „Др о з б а“.

საქართველო

მასწავლებელთა კრებაზე

(პასუხი უფ. ი. ბ. ს.)

დებრთ, რამდენ სამღურავებს არა ჰქონდა ამ სასოფლო მასწავლებელთ კრებაზე? ნეტავი ერთი ხეიარანი, სა- ფუძელიანი და ღროით რამე მანც დაეწერათ ამ დალოცვილებს!

აქედით სანიმუშოთ თუნდა „დროე- ბის“ მე—197 ნომერში დაბეჭდილი სტატია უფ. ი. ბ.—ს. რას არ ჰქონდა ეს უფალი, და სრული უსაფუძვლოდით და საქმის უცადინარობით რაებს არა ჰქონდა იგი საწყალ სასოფლო მასწავ- ლებელთ კრებას და განსაკუთრების უფ. ი. როსტომაშვილს? ძალიან სამწუხაროა, რომ კაცმა არც საქმის დაწყობის მიზეზები იცოდეს, არც სხვა გარემოებანი, და იგი ყველაზე უწინარეს კი იმ გვარ ფრანგებს გადმოჰყრიდეს, როგორც ზემოთქმული უფ. ი. ბ.

„მეტათ უთავბოლოთ, უსაფუძვლოთ და მოუაზრებლათ წაიდა საქმე ჩვენი სოფლის შკოლები მასწავლებელთ პირველი კრებისა“.

მესმისთ რასა ბრძანებს უფ. ი. ბ., რომელიც, როგორც ცხადათა ჰქონდას ყოველი მისგან დაწერილი სტრიქონე- ბიდან, ერთხელაც არ დაჰსწრებია მას- წავლებელთ სხდომებზე, ერთხელაც არ მიტრიალებულ- მოტრიალებულა მათ შორის, ერთი ინიც არ გაუგონია მას- წავლებელთ ნალაპარაკვიდა და სხე?

დაუყენია, ბატონო, კრებას სამი წელი- წადი გაუწესებია შკოლის კურსის შესრულებისათვის. აბა, რა უნდა შეისწავლოს ბავშვა და ისიც სოფელელ- მა ამ მოკლე ხნის განმავლობაშიო და სხე... უფალო ი. ბ., თქვენ რომ დაახლოებით გავცნოთ ჩვენი მასწავ- ლებელნი, მათი ლტოლვილება, მათი ჰაზრი და ის მიზეზი, თუ რა ჰქონ- დათ მათ და განსაკუთრებით უფ. ი. ბ. სახეში, ჰსწავლის ვადის დაწესებია დროს, დარწმუნებული ვარ, რომ მაგ უსაფუძე- ლო სიტყვებს თავის დღეში არ იტყო- დით.

რათა? მსლავე მოგახსენებთ, თუმცა ამ მიზეზის გამოაშკარავება, ცოტა არ იყოს მეძნელაა.

პირველი კითხვა, რომელიც ჩვენმა კრებამ განიხილა, ის კითხვა გახლდათ, თუ რამდენ წელის უნდა გავრძელდეს შკოლაში ჰსწავლა. კრებამ ხმის უმეტე- სობით გარდაწყვიტა სამი წელიწადი. ახ- ლა იცით რა ჰქონდათ სახეში მათ, შეხედულობით პტარა კაცებს, მაგრამ თვისი ძალით კი უძლიერეს სულდგმუ- რებს? სხვა ბევრ მიზეზთ გარდა, მათ ჰქონდათ შემდეგი ჰაზრი: ის ჰქმნარიტე- ბა, რომ ყოველი სასწავლო საგნის ჰსწავლა კურსის დასრულებამდე უნდა მიდიოდეს სამშობლო და არა უცხო ენაზე, ჯერ კიდევ არ იყო აღირებული. ამ ჰქმნარიტების ფეხზე წამოყენებაზე და მის განხორციელებაზე ჯერ კიდევ ძლიერ ფრთხილათ ვიყავით. მინ იცოდა, რომ თვით კრების ხელმძღვანელი აღი- არებდა ამ ჰქმნარიტებას? ჩვენ გვეგონა და სრული საფუძვლითაცა (წინანდელი ფაქტებიდან), რომ ჰსწავლას მოითხოვ- დნენ არა ქართულს ენაზე!

ახლა გკითხავთ: რა საშუალებით უნ- და დაგვეცა ჩვენ სამშობლო ენაზე ჰსწავლის დაწესება? აქ ჩვენა გვექნდა ერთადერთი საფუძვლიანი წინადადება ჰსწავლის კურსის სიმკირე, ე. ი. რად- განაც სამ წელიწადში უცხო ენაზე ჰსწავლა სრულად არავითარ კეთილ ნა- ყოფს არ მოიტანს, ენების გარდა, ამი- ტომ უმჯობესია ჰსწავლა დავაწესოთ სამშობლო ენაზე და სხე...

კრება როდესაც აწესებდა სამი წლის წესსა, ჰსწორეთ ამ ჰსწრთ სულმდუ- ნელობდა და აკრე მოიქცა კიდევ; მაგ- რამ ოდეს რამდენიმე სხდომების შემდეგ საჯაროთ გამოაშკარავდა ეს ჰქმნარიტე- ბა, რომ ჰსწავლა უნდა მოდიოდეს ქარ-

თულს ენაზე, რომ თვით რუსული ენა მხოლოდ, როგორც ცალკე საჰსწავლო საგანი უნდა შემოეცნოთ, მაშინ თვით ჩვენმა კრებამ მოითხოვა ჰსწავლის კურ- სის გადიდება და მიადრია კიდევ ამ მი- ზანს...

ახლა რაღას იტყვით, უფ. ი. ბ.? ახ- ლაც იტყეთ—როგორი წინ- დაუხედავი- ბი ყოფილან მასწავლებელნი და განსა- კუთრებით ი. როსტომაშვილი? ახლაც იტყვით, რომ მეტათ უთავბოლოთ და წინ- დაუხედავთ წაიდა სასოფლო მას- წავლებელთა კრება?

სამართო ისტორიის პროგრამის შესახებ ლილასთვის შემოგიტოვანიათ თქვენ წერილში? წავიკითხავთ, ანუ გინახავთ მაიც თქვენ იგი პროგრამა? ანუ ერთი სიტყვა გაგიგონიათ მის შედგენის და მის განხილვის დროს?

არა მჯერა, რომ ყველაფერი ეს ასე ყოფილიყოს, ტყუილ-უბრბლოთ არ შემოჰტოვანდით მას თქვენ წერილში. მაგრამ თქვენ ამებს როდის დაჰსდევთ: ეს თქვა კი რამეო უფ. ივ. როსტომაშვი- ლის წინააღმდეგო სხვა ფეხებზე მკიდათ!

აბა ერთი მიბრძანე, რომელი ერთი მასწავლებელი არღვევდა იმ ჰქმნარიტე- ბას, რომ ძველი ალთქმა არ უნდა ეას- წავლოთ? რომელი არღვევდა მის მნიშ- ვნელობას ზნეობით აღზდაში და სიად- ვილები? თქვენ რომ კარგათ და ბეჯე- თათ თვალ-ყური გედევნებინათ ამ საქ- მისთვის, მაშინ თავის დღეში არ იტყო- დით:

„სჯამ ამ საქმის შესახებ ცხადათ აღ- მოაჩინაო, რომ თითქმის არავის არ ესმის ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ძველს ალთქმას აქეთ ბავშვების აღზ- დაში!“

ბატონო, თუკი მაგისთანა გენიოსი ბრძანებულხართ, აქამომდე სად იყავით, რატომ ერთ წამზე არ მოიცალეთ, არ მობრძანდით ჩვენ სხდომებზე და ერთი კარგათ არ აგვიხსენით და არ დაგვიმ- ტვიკეთ ყოველი ამ საგნის შესახებ? ჩვენი სხდომები ყოველთვის ხომ საჯაროთ იყო და ყველას ნება ჰქონდა თვისი ჰაზრი წარმოეთქვა? მაგრამ რას ვამ- ბობ: არა, ძმარ, ძალიან კარგი გინებებია, რომ არ დასწრებულხართ ჩვენ სხდომე- ბზე, თორემ ქვეყნის და პირველი აღამი- ნის შექმნილამ დავაწყობილებში სამლო- თო წერილის ჰსწავლებას, და მაშინ ხომ სულ წავიხსენებოდა ჩვენი ასე კე- თილათ დაწყობილი საქმე!...

საქმე იმაში გახლდათ, — საიდა ვიწყოთ საღმთო წერილის ჰაწალებს? — ხომ ყველას კარგათ გვახსოვს ის დალოცვილი ძველი დროება, ოდესაც საღმთო ისტორიის ქვეყნის დაარსებიდან გვაწყობინებდნენ! ხომ კარგათ გვახსოვს, თუ რა კეთილი ნაყოფი მოჰქონდა მას ჩვენთვის! ისიც ხომ კარგათ გვესმის, თუ რა უცოდინარნი გამოვდიოდით და ახლაც გამოვდევართ ყველთა მშობლიურისა? და ანუ თქვენ ნამდვილათ გგონიათ, რომ მსოფლიო ისტორიის შესწავლაც სახალხო შკოლების ძველი ხალხების ისტორიებიდან უნდა ვიწყოთ?

ამ კითხვის განხილვის დროს, განსაკუთრებით ყურადღება მიიზიდა უფ. ი. როსტომაშვილის წინადადება, რომელმაც ამის შესახებ ჰსთქვა შემდეგი: ყველას მოგეხსენებათ, რომ ჩვენმა გლეხის ბიჭებმა მრავალი ზღაპრები, არაკები, გამოცანები, შაირები იციანო. აგრეთვე ყველას მოგეხსენებათ, რომ ყოველს ნაბიჯზე ესმით სიტყვა ღმერთი, შრისტე, ქრისტიანი; რომ მათ იციან მრავალი გადმოცემები იესო შრისტეზე და სხვა წმინდანებზე, როგორც მაგალითად წმ. ნანოზე, წმ. მლიოზე, წმ. ბასილოზე და სხვა ადგილობრივ წმინდანებზე, როგორც მაგალითად — ძახეთში იოსებ პლავერდელზე, ზენონ იკალთოელოზე, სტეფანე ხირსელზე და სხვებზე. რადგანაც ყოველივე ეს ბავშვისათვის უფრო ახლოაო, რამოდენათმე ნაცნობიაო, თავისიაო, უმჯობესიაო საღმთო ისტორია ვიწყოთ ნაცნობიდან, ადვილიდან, ახლოდან, ე. ი. საუბრებით ღმერთზე, საყდარზე, ლოცვაზე, შრისტეზე და იმ დიდ წმინდანებზე, რომელნიც პატივცემულნი არიან ჩვენ სამშობლო ქვეყანაში და საზოგადოთ იმ ადგილებში, სადაც იმყოფება თვით შკოლა.

ამ ჰაზრზე ყველა ერთხმად დათანხმდა, მხოლოდ მოითხოვეს ნიმუშები საუბრებისა წმინდანებზე. ივ. როსტომაშვილმა მეორე დღესვე წარუდგინა კრებას ოთხი წმინდანის ცხოვრების აღწერა: წმ. ბასილისა, წმ. ნინოსი, წმ. მლიასი და წმ. ბიძინისა, მლიზბარისა და შალვისა. ეს წერილები კრებამ მოიწონა.

ამის შემდეგ თვითონ არ გვესმის, რაში არ გვეთანხმებით ჩვენ? თქვენ მოგაყვით უცხო წიგნიდან მოსე წინასწარ-მეტყველებზე გაკეთილები; ჩვენ კი დღე მოგაყავს ჩვენივე წიგნებიდან წმ. მლიაზე და სხვებზე, რომელნიც ნაცნობნი და პატივცემულნი არიან ჩვენ ქვეყანაში! ანუ როდის ვიყავით მაგვარი საუბრების წინააღმდეგნი? ჰსწორეთ გითხრათ, ვერ გავიგია — რას ეძებთ, რას ებრძვით და რაზე შეუწრახპყოფთ მასწავლებელთ კრებას და განსაკუთრებით უფ. ი. როსტომაშვილს?

(დასასრული შემდეგ ნომერში)

დღიური

* * * მოგეხსენებათ, რომ ამას წინათ ძავეკასიის სამეურნეო საზოგადოებაში ხანგრძლივი ლაპარაკი იყო იმაზედ — თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის სპირტის გამოხდაზე აქციზის დანიშვნას.

იმ მოლაპარაკების დროს საქმაოდ დამტკიცდა, რომ აქციზი მავნებელია როგორც ხალხისათვის, აგრეთვე თვით ხაზინათვისაც. საუბედუროდ, ხანგრძლივი საზოგადოებას ამის თაობაზე ჯერ არაფერი შემწერა არ გამოუჩენია ჩვენი ქვეყნისათვის.

მაგიერად თვითონ ხალხმა დაიწყო მეცადინეობა, რომ ცოტათი მაინც შემსუბუქებული იქმნეს იმის გაჭირებული მდგომარეობა ამ აქციზის ტვირთისაგან. საქმე აი რაში მდგომარეობს:

ჩვენ შევიტყვით, რომ შორის უფლის სოფლებს მიუციათ ვეჭილობა მთლიანის მცხოვრებელის მასილ მლიაროვისათვის, რომ იმან უშუამდგომლოს უშაღლესი მთავრობის წინაშე სპირტის აქციზის მოსაბაზე ან შემცირებაზედ.

ჩვენ თვითონ ვნახეთ სამოციის საზოგადოების მეტის ვეჭალობა, რომელშიაც გლეხები აცხადებენ თავიანთ გაჭირებას ამ აქციზის გამო, და თხოულობენ, რომ ეს ტვირთი შეუქმნებულს იმას მთავრობამ, თავის კერძო საჭროებისათვის მაინც მიეცეს ნება ბაჟის გადაუხდელოთ არაყის გამოხდისა. ამ გვარი ვეჭილობის წერილები თან-და-თან, დღე-დღეზე ემატება უფ. მლიაროვს, რომელიც ამ საქმისათვის თავ-გამოდებულთა: საიმედო პირიც შეჰპირებია, რომ მე ჩემის მხრით ვიშუამდგომლებ ყმაღლესს მთავრობასთან და ვეცდებით, რომ ეს თხოვნა შეწყნარებული იქმნესო.

* * * ბათუმის მაზრის სამხედრო ლუბერანტარის თანა-შემწედ დანიშნულია ბროზნის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი უფ. ნ. მკისთავი.

* * * „ძავეკაში“ დაბეჭდილია შარსი-დამ შიღებულნი ტელეგრაფმა, რომლი-დამაც ვეცუობილობთ, რომ დ. მ. ძავეკასიის ნამესტნიკი 30 სექტემბერს მობრძანებულა შარსში იქაური ახლად შემოვრთებული მაზრების დასახედავით. ხალხი თვითონ შარსში და გზაზედაც დიდს ამბით დახვედრია. ბუშინ, 2 ოქტომბერს, დიდი მთავარი სოლან-ლულისაკენ უნდა წაბრძანებულიყო.

* * * ზემო-ხსენებულივე გაზეთი გვაცნობებს, რომ ძუკიის პრისტავს უფ. მახარაძეს დაუჭირავს რეა ავაზაკი, რომელთაც ამას წინათ გაცარცვეს უფ. ალადათოვი და ახვერდოვი.

* * * ამ ღვინობისთვის 9-ს მთლიანის მლიკის სასამართლოში იქნება გარჩევა ჩვენი გამოჩენილი ავაზაკების საქმეებისა: ტატო წულუკიძის, ილია ალერ-

წინისა და შატვა ნასკიდაშვილის, რომელთაც კაცის-მკვლელობასა და ჰმრადენიმე კაცის გაცატყვეს მხრად მტენს. შმთავრესი ავაზაკი ამათგანი, როგორც მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ დაჭირალი არ არის.

* * * ზემო-იმერეთიდან, სოფ შალი-დამ ძალიან ცუდ ამბებს და უწესო მოქმედებებს იწერებია. არ შეუძლია კაცს, რომ პირუტყვი თვალს მოაშოროს: მაშინვე დაიჭერენ, შესაჭველს შესჭამენ და სხვას მოაპარავენო.

მთ აღმოაჩინე ქურდი და უჩიეღე, „ვი დელიშენის ბრალი“, ან მოგკლავს, ან ოჯახიანად გადაგწავსო.

ამის გამო იქ ვისაც უნდა შეხვედეთ, თითის სიგრძე ყმაწვილებიც კი, „ზა-ფ-დანია“ მაქვს დღეს, ხეალ „ზასედანიში“ ვარ დაბარებულიო, უნდა გითხრანო უთუოდ.

ეს კიდევ არაფერი. მით საზიზღარ ამბავს გვწერენ იქიდან, რომლის გამოთქმაც გაზეთში თუმცა სასიკცხაოთ მიგვაჩნია, მაგრამ რა ჰქნას კაცმა!..

იწერებია, რომ პატიოსან ანზაურს გვართ ა — ას დაუტერია ბატის მწყემსი პატარა ექვსი წლის გოგო და გაუპატიურებია!... რასაკვირველია, შეყრილა ქვეყანა, ერთი ყოფა მომხდარა, დოქტორიც მოუყვანიათ, გამომძიებელიცა!..

ჯერ არ ვიცით, რაშედეგი ექნება, ამ მხეცურ, ბარბაროსულ მოქმედებას, როგორ მოეპყრობიან ამ საქმის ჩამდენ პირუტყვეებს!...

„დროების“ კორამსპონდენცია

გორი, 30 სექტემბერს. სოფლებებო! იქნება შეგენატრიდეთ შორელებს, რომ ქალაქ ადგილას ეცხოვრობთ, განათლებული ხალხის წრით ვართ შემოფარგლული, ყოველივე გასართობი და სამხიარულო საგანი მოგვეპოვება, ყოველთვის და ყოველ ნაბიჯზედ სამოსურათს ვუცქერით; ერთი სიტყვით, ყველაფრით კმაყოფილნი და, მაშასადამე, ბედნიერნი ვართ? მაი, როგორ მომიტყუებდებით, თუ ჰო!

არა გვერათ? მაინც ურწმუნო ხართ და არ მერწმუნებით, არ შეგაწუნებ და არ გეტყვი: შორში მობრძანდი-მეთქი; არა; როცა გნებავდეს, ჩაბრძანდი ვაგონში და შორის სტანციაზედ ცალის თვალთ გადმოიხედე ფანჯრიდან; შარტო ამ უბრალო თვალის გადავლებით შეგიძლიანთ დარწმუნდეთ, რომ ჩვენში სახარბიელო არა არის-რა!

ხო გვეხედე, როგორ მოგვიყრია თა-

ვი! აქ ვართ სულ ყველა: დიდი, მალა-ლი, საშვალო, პატარა, დაბალი, მდაბალი; ბრწყინაალები, ჟანგინი, მალაღი და დაბალ-კეთილშობილი და სხ. შევლა გვარს და ეგზემპლიარებს შეხვდებით აქ!

რა გვენებას, თუ გამოიცნობთ? სრულიად არა ფერი, გარდა იმისა, რომ დიდიდამ საღამომდე ოთხ კედელ შუა კოტრიალით გვერდები გვეტკინა, თვალში ჩინი გამოგველია და ახლა გვინდა თვალს წყალი ვასვათ, მეგობარს შევხვდეთ, გაუღიმოთ, მტერს შევხვდეთ—თვალი დაუბრმაოთ, უცხო ენაზე—სასწორზედ შევაგლოთ, მახლობლით ავსწონოთ, ვიჭოროთ, ვილაქლაქოთ და დავბრუნდეთ ჩვენ-ჩვენ საბურღებში!

აქედამ წასული მეორეთ პოეზის მოხელამდი ანთებული ფანრით რომ ეძიო ვერავის იზოვი!

— რატომ? მკითხავთ: კარზედ არა-ინ გამოდინხართ? მზით-უნახავები ხომ არა ხართ?

გამოვიდვართ, მაგრამ ისევ მსწრაფლ შინ შევიდვართ. სად უნდა გამოვიდეთ? ბალი ჩვენ არა გვაქვს, ქუჩა ჩვენ არა გვაქვს, როტონდა იყო და თქვენი ჭირი წაიღო, კრუფოკია და აბა ტანცი-მანცი კი აღარ არის და ისე ვინ შევა. რა საქმე აქვს?

მართად ერთი ბალი (ახ, უკაცრავად ბალი-მეთქი!) როტონდის ეზო იყო და რო ნახოთ ახლა, გაგვიცინებათ: მინგრეულ-მონგრეული, მინტვრეულ-მონტვრეული, გაფუჭებული და ბოლო მოღებული!

სირცხვილი კია, ქალაქს ერთი მტკა-ველი ადგილი ჰქონდეს და იმასაც ვერ უპატრონოს, დანიშნულება ვერ უპო-ვოს! . . .

ასე ამ ნაირად დარჩა ერთი სტანცია და იქ გაედივართ, იქ ვატარებთ დროე-ბას! ეს სტანციაც რომ არ იყეს, მაშინ რალა იქნებოდა! მგლოვიარებივით უნდა დამსხდარეყავით ჩვენ-ჩვენ ქობ-მახობა-ში და გვეთვალა ბუზები! მე შენ გითხრა ვიზიტებითა და მიპატრებ-მოპატრე-ვებით გავატარებთ დროებას! . . .

(დასასრული შემდეგ №-ში)

ალექსანდრასოლი, 27 სექტემბერს. ბუშინ ნაშუადღევს სამ საათზე ჩვენს ქალაქში შემოვიდა აზიის ბრძოლის ველიდგან დაბრუნებული ბაქისკი პოლ-კი. აქ დაუხვდნენ აქ დიდის მასპინძ-ლობით აქაური მცხოვრებნი.

პოლკის შემოსვლამდინ ქალაქში სა-მი-ოთხის საათით წინ მცხოვრებმა და-კეტეს დუქნები და მალაზიებო. შემეტსი ნაწილი ამათგანნი მიზბოდა მდ. არფა-ჩისაკენ მისაგებებლად, და დანარჩენნი კი მოუთმენლად ელოდნენ ქალაქის პირში მალლობაზედ, რომელიც შეად-გენს ძველს სამხების სასაფლაოს და გადასცქერის ციხეს და არფაჩიდგან

შემოსავალ გზას. დიდი მოძრაობა და მხიარულობა იყო მცხოვრებში: ზოგნი მიაჭენდნენ არფაჩისკენ ცხენებსა, ზოგნი ფაეტონებით, ზოგნი ისევ მო-ჭენებდნენ, ვით მაყარნი სამახარობლიდ; ზმეტსი ნაწილი მიზბოდნენ და შორ-ბოდნენ ფეხით.

ვერ წარმოიდგენთ, რა ნაირი ლურ-ლული ჩოჩქოლი გაჩნდა ამ მომლოდინე ხალხში, როდესაც დაინახეს დაწინაურ-ბულნი არფაჩიდგან სოჭის ეკკლესიის დროშები და მათ უკან დიკვენები სა-ცეცხლურებით და ბახჩებში შეკრული შესაპოვლებით, და მერე თვით სოჭის ტერტერებიც.

დროშების შორის ერთი ერთი ამაღ-ლებული ჯოხზე ორ არშინიანი რამკა თეთრ კალენკარით გადაკრული, რომელზედაც ეწერა რუსულად დიდის ასოებით: „Героямъ Девебойна и Ази-zie, хробрымъ; Бакинцамъ, привѣтъ отъ горожанъ г. Александраполя.“

შემოვიდნენ ქალაქში და აქვე შე-მოეხვიენენ გამჯადებულ სტოლებს, პუ-რით, ხორაგით და სასმელეულებით უხ-ვად შემკულებს. მერე ერთის საათის შემდეგ გამაძლარნი და კმაყოფილნი ბაკინელები დაბრუნდნენ ისევ არფაჩ-ისკენ თავიანთ ბანაკში.

აშბობენ, რომ ეს პოლკი უნდა დარ-ჩეს ამ ზამთრად აქაო, და თუ გამართლ-და ეს ხმა, მაშ უთიოდ ესენი დააჯილ-დობენ აქაურ მცხოვრებლებს ერთი-ათად მათის მასპინძლობისათვის!

ბ. ზ—ძე

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

„თფილისის მაამბეში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა 1 ლეინობისთვის მიღებული არზრუმიდამ:

„დღეს მოვიდა აქ არზრუმის ლენე-რალ-ლუბერნატორი მუშირი იზმაილ-ფაშა. ბუშინ მუსსა-ფაშა პუნდუბოვმა გაუმართა სადილი აქ მყოფ უცხო ქვეყ-ნის კონსულებსა და იმათ ჩინოვნიკებს.

„აშბობენ, რომ დიარბეკირის ვი-ლაიეტში ოსმალეები აგროვებენ ჯარებს იმ განზრახვით, რომ დაეცნენ აჯანყე-ბულ შურთებს, დაამშვიდობონ ისინი და დაიხსნან იმათგან ადგილობრივი ქრისტიანებიო.

„შურდობა და ავაზაკობა აქეთკენ თან-და-თან კლებულობს.

„იზმაილ-ფაშამ უთხრა აქაურ ქრის-ტიანებს, რომ ის ეცდება იმათ დაცვას და იმედი მისცა იმათაო, რომ ამ ქვეყანაში მალე რეფორმებს შემოვიღებთო.“

— სტამბოლის გაზეთებში იწერებია, რომ რადგან მუხთარ-ფაშამ ვერ შეას-რულა ოსმალეთის მთავრობის მიწოდ-ბილობა და ვერ დაამშვიდობა ძანდის კუნძულის აჯანყებულები, ამის გამო

გამოცვლას უპირებენ და იმის მაგივრად, ხონთქარი ძანდიაში მითხლ-ფაშას გად-წავნიო.

— ამ დღეებში შეკრებილან სტამ-ბოლში ოსმალეთისა და სპარსეთის კომისიის წევრნი, რომელთაც მიწოდ-ბილი აქვსთ ახალი სამზღვრების გაყენა ამ ორ სახელმწიფოს შუა.

ამსტრია

მენის გაზეთს „პრესში“ იწერებია, რომ პესტრიელებს დაუჭირავთ მოთავე ბონსიელი აჯანყებულებისა ჰაჯი-ლოია, და, როგორც ამბობენ, დახვრეტას უპი-რებენო.

— „ქელნის გაზეთში“ იწერებია, შარათეოდრო-ფაშას გარდაუცია პესტ-რიის უცხო ქვეყნის საქმეთა საშინისტ-როსათვის ოსმალეთის ნოტა, რომელ-შიაც გამოცხადებულია, რომ ოსმალეთს ჰსურს, რომ იმასა და პესტრიას შუა კეთილი განწყობილობა იქმნეს, მაგრამ ცალკე კონვენციით შეკვრას კი ვერ ჰკისრულობაო, რადგან ბონსიისა და ჰერცოგოვინის დაჭერის დროს პესტრი-ელები ერთობ ცუდათ იქცევიანო.

ოსმალეთი

სტამბოლის გაზეთებში იწერებია, ხონთქარმა ტელეგრამით აცნობა არზ-რუმის ლუბერნატორს იზმაილ-ჰაკი-ფა-შას, რომ ყველა იმ უწყსობებაში და მაჰმადიანებისაგან ქრისტიანების შევიწ-როებაში, რომელიც კი არზრუმის ვი-ლაიეტში მოხდება, პასუხის-მგებელი შენა ხარ და შენ მოკთხოვ ანგარიშსაო. ამის გამო უნდა ეცადოვო, რომ არა-ვითარი შეურაცხყოფა არ მიაყენონ მანდაურ მაჰმადიანებმა სომხებსაო.

— პოლიტიკურს ძორრესპონდენცი-აში“ მოყვანილია შემდეგი ამბავი:

„დიარბეკირის, არზრუმისა და მანის ვილაიეტებში მოდის ამბავი, რომ ოს-მალეთის მთავრობა ძალას ატანს იქაურ ქრისტიანებს (სომხებსაო), რომ აქედამ გადასახლდითო. აქ, ტრაპიზონში, დარ-წმუნებით ამბობენ, რომ ეს ამბავი სულ ინგლისის ელჩის ლეიარდის საქმე არი-სო; ის ურჩევს ოსმალეთსაო, რომ გაჰ-ყაროს მცირე აზიიდან ქრისტიანებო, როცა იქ მარტო მაჰმადიანები დარჩე-ბიან, მხოლოდ მაშინ შეუძლია ოსმა-ლეთს მკვიდრად დაფუძნება უფლები-საო.“

— იმ ძომისიის წევრები, რომელს თაც აღმოსავლეთ რუმელიის (სამხრეთ ბოლგარიის) გამგეობისა და ახალ წესე-ბის შემოღების თაობაზედ უნდა მოილა-პარაკონ, ამ ჟამად სტამბოლში არიან შეკრებილნი. პირველსავე სწდომაზედ კომისიას გამოუცხადებია სურვილი, რომ ისეთ ნაირათ მოათავსონ საზოგა-დო საქმეები ხსენებულს ქვეყანაში და ისეთი უფლება და კეთილ-დღეობა უნ-და მიანიჭონ ხალხს, რომ ეს ხალხი ჩრდილოეთ ბოლგარიას (რომელიც ბერლინის ძონგრესმა გაანთავისუფლა ოსმალეთის დამოკიდებულებისაგან) არ

შენატროდეს და არ ცდობდეს იმას-
თანა შეერთებას. მევე ჰაზრი გამოუც-
ხადებია კომისიისათვის საჭეტ-ფაშასაც
რომელსაც უთქვამს, რომ მსმალეთი
წარმოადგენსთ თქვენ პროექტს აღმო-
საველეთ რუმელიის გ. მკეობისასაო და
იმედი გვაქვსო, რომ ამ პროექტის მი-
ღებთ ხალხი კმაყოფილი დარჩებაო.

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გაგზომვისაგან
საპირდა სახლი უფროსი კო-
ლიტიმისტრის საღვთად, იმის კან-
ცელოარისა და არხივისათვის და აგრე-
თვე პაქარის კამანდისათვის.

მს სახლი უნდა იყოს სადმე შუაგულ
ქალაქში; იმას უნდა ჰქონდეს საჯინბო
(კანიუშნა) 36 ცხენის დასაყენებლად,
დიდი ეზო და მოთავსებული დიდი ალა-
ყათის კარები.

თფილისის ქალაქის გაგზომვა სხოვს
იმ სახლის-პატრონთ, რომელთაც ჰსურთ
ამ საქაროებისათვის სახლის გაქირავება,
მოვიდნენ გამგეობაში (უპრავეში) მო-
მავალ მატომბრის თვის 5 რიცხვამ-
დინ და ამასთანავე წარმოადგინონ თა-
ვიანთი დაწერილებითი პირობები.
(3-3)

**გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზი-
აში ისყიდება:**

„ნი ნო“

მოთხრობა თავადი რაფიელ შრისთვისა.
შასი 15 კაპიანი.

იქვე ისყიდება იმისივე

„იგავ-არაკნი“

გამოკრებილი საბა-სულხან მარბი-
ლიანის „სიბრძნე-სიტყვილამ“ და გა-
ლექილი თ. რაფ. შრისთვისაგან.
შასი ორი შაური.

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. გიგო ჩარ-
კვიანის წიგნის მაღაზიაში—და თელავს
სასულიერო სასწავლებელში, უფ. ტან-
ცივეთან ახალი წიგნი.

ლექსთა კრება

თ. გრიგოლ მარბელიანისა, ილია ჰაე-
ქავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ
შურცელოძისი, ივანე შერესელიძისი,
ნოსებ ბაქრაძისი და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული
შაქარია შიჭინაძისა
შასი ორი შაური.

გამოვიდა და ისყიდება

გეგმვისე კარი „ქარამანიანისა“

ქ. თფილისში, მიხაილოვის ხილზე, მირ-
ზოვეის შენობაში, მხოლოდ ს. არტ.
პართანოვის წიგნის მაღაზიაში.

შასი 40 კოპ.

მსურველს შეუძლიან მიიღოს ამ წიგ-
ნის მაღაზიაში I, II, III, IV და V
კარი „ქარამანიანისა“.

იბეჭდება და მომავალ თვეში გამო-
ვა გეგმვისე კარი „ქარამანიანისა“
(3-5)

ვიხელსონის სტამ- ბაში, რომელიც იმყოფება ბალა- ნინის პროსპექტზედ, ჩითახოვის სახლში-

მიღებულია ყოველ წაირი **ახალი
ქართული ურიქტი,**
ე. ი. ასოები.

მსურველს შეუძლიან მომართოს ამ
სტამბას ქართული ბროშურებისა და წი-
გნების დასაბეჭდათ.

გამოვიდა და ისყიდება „თამარ ბატონიშვილი“

სუთ-მოქმედებიანი დრამა საქართვე-
ლოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ,
გაღმკეთებული გრ. რჩეულოვის რო-
მანილგან „საქართველოს თამარ
ბატონიშვილი“

ქ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნის
მაღაზიებში,
ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბ-
ლიოთეკაში.

შასი ყველგან ემისი შაური.

16-ს აგვისტოდამ გაიხსნა

ქ. ქუთაისში

„წიგნის მაღაზია“

აღაც ისყიდება ყოველ-გვარი სახელ-
მძღვანელო წიგნი (учебники), რუ-
სულსა და ქართულს ენაზე. გარდა სა-
ხელმძღვანელო წიგნებისა „მაღაზია-
ში“ ისყიდება სხვა ყოველ-გვარი საკით-
ხავი წიგნებიც, აგრეთვე რუსულსა და
ქართულს ენაზე.

ამავე მაღაზიაში იმყოფება ქუთაისის
განყოფილება ქავეზიის სამასწავ-
ლებლო უწყების კომისისიონერის უ-
მართანოვის წიგნის მაღაზიისა.

მაღაზია იმყოფება: მიხაილოვის
ქუჩაზე, უ. ხარაზოვის სახლებ-
ში, ძლუბის ქვემოთ.

ისყიდება პარტიითა და თითო კუ-
ლითაცა **თამბაქო,** მახორკა,
ნაკლებ ფასათ.

აღრმისი: ბაღერეი არწრუნიია, №
146.

ივანე ალხაოვი

რპ. გზა.	დღია.	ს.ლაპ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ.ნ.კაპ.	გაზანდა	მ.ნ.კაპ.	თფილისის სამაჟსრნალო
თფილისი	9 21	5 18	3.კაპ.	8.კაპ.	მ. სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 29 სექტემბ.		შრენს მადანზე, წ ნამდვაროვის საალებში.
მცხეთა	10 11	6 27	- 68	- 38	ქუთაისს, შოთს	1 -	ფქვ. თეთ. ბანჯ. სა, ფთ.	180	ავეთყოფებს მიიღვენ ყოველს
ბორჯი	11 5	9 43	2 40	1 33	ბორს, მუშეთს, სიღნაღს	50 -	ფ ვლი წათელი	155	დღე დღს 9 საათიდან 1-მინ.
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვ, მღვსს, მოსკოვ	2 -	ქეი ფთი	140	მო შაბათს: შერმიშვი და ბა-
სლომა	1 44		4 42	2 46	პეტერბუდ, შარშავსა	2 -	ბამბა შრე ისა, ფთი	750	ალევიჩა—შინაგ. ავთა, შიუჩა-
ქვირილა	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შევც. რიაში.	3 -	— ამერიკისა, ფთი	850	რიანც—საჯარო ექიმი და საშვე-
რიონი	6 5		6 75	3 75	იტალია და ს. ჯრანგეთში.	3 50	ბავენტალი ბ მბა ფთი.	10	ლოს აპერაციებო.
სამტრედია	7 51		7 73	4 29	ნიგლისში	3 75	მატყლი თუშური ფთი	850	სამ შაბათს: შერმიშვი—ში-
ახალ-სენაკი	8 43		8 57	4 76	ფოტა		— თარაქამისა ფთი	450	ნ გ. პ. ბ ხუტოვი—საბუიო და ბავ-
შოთი	9 50		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარ- თ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მსურ.—პარსკ. და ორშ. ქა- ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაის- სიდან: თფილისისა და შოთის კენ- ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურ- გეთს—ორშ. და პარსკ.		— თარაქამისა ფთი	2	შერს, პეტროვი—თვალ ს.
შოთი	9 3				წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: ფ		აბრეშუმი ნუხური სტ	2	მო თხ შაბათი: შერმიშვი შა-
ახალ-სენაკი	10 14		1 18	- 66	ღია წიგნი	4	ქონი, ფთი	620	ნ გ. ა. ბ ხუტოვი—საბუიო და ბავ-
სამტრედია	11 5		2 6	1 14	დ. ზუგდ. ორშ. და ორშ. ქა- ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაის- სიდან: თფილისისა და შოთის კენ- ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურ- გეთს—ორშ. და პარსკ.		ქონის სანთლი ფთი	8	შერს, პეტროვი—თვალ ს.
რიონი	12 13		3 4	1 69	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: ფ		სტეარინის ს ნთელი, ფთ.	1220	მო თხ შაბათი: შერმიშვი შა-
ქვირილა	1 18	ლაპე.	3 98	2 21	ღია წიგნი	4	ხორცი ძროხისა, ლიტ	81	ხუთ შაბათს: შერმიშვი—ში-
სლომა	5 12	1 10	5 33	2 96	დ. ზუგდ. ორშ. და ორშ. ქა- ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაის- სიდან: თფილისისა და შოთის კენ- ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურ- გეთს—ორშ. და პარსკ.		— ცხვრისა, ლიტოა	90	ნ გ., შიუჩიანცი—იგილიტიკუ-
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: ფ		სპირტი ველოო	480	რი და საშარდ ორგანების.
ბორჯი	7 5	4 8	7 36	4 9	ღია წიგნი	4	შაქარი, ბროც. ფთი	740	პარსკევე: შერმიშვი—შინაგ.,
მცხეთა	8 50	6 59	9 8	5 4	დ. ზუგდ. ორშ. და ორშ. ქა- ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაის- სიდან: თფილისისა და შოთის კენ- ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურ- გეთს—ორშ. და პარსკ.		— ფხვნილი ფთი	6	პ. ბავენტოვი—ს. ბებოვი ქალისა და
თფილ სი.	9 31	7 56	9 75	5 42	ღია წიგნი	4	ქავა გრვლი, გირვ	70	ბავენტოვი.
					დ. ზუგდ. ორშ. და ორშ. ქა- ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაის- სიდან: თფილისისა და შოთის კენ- ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურ- გეთს—ორშ. და პარსკ.		ხეთი ქუნჯუთისა ფთი	14	შაბათს: შერმიშვი შინაგ., და
						8	თამბაქო, ს. შულო ფთ.	615	პეტროვი—თვალ ს.